მომსახურების ხელშეკრულება N0508-1

ქ. თბილისი

სამშაბათი, 05 ნოემბერი, 2024

ხელშეკრულების მხარეები

მიმღები:

დასახელება:	სს საქართველოს ბანკი.
საიდენტიფიკაციო ნომერი:	204378869.
საკორესპონდენციო მისამართი:	ქ. თბილისი, გაგარინის ქ. N29ა.
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
სახელი და გვარი:	ანა ლომთათიძე
პირადი ნომერი:	01015018569
საკონტაქტო მონაცემები:	
ელფოსტა:	akhonelidze@hog.ge

და

მიმწოდებელი

დასახელება ან სახელი და გვარი:	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	204864548
საკორესპონდენციო მისამართი:	ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N1
წარმომადგენელი (ხელმომწერი პირი):	
სახელი და გვარი:	ლაშა საღინაძე, ლევან კერესელიძე
პირადი ნომერი:	
საკონტაქტო მონაცემები:	
ელფოსტა:	Lasha.saghinadze@tsu.ge, levan.kereselidze@tsu.ge
საბანკო რეკვიზიტები:	
ბანკის დასახელება:	სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:	TRESGE22
ანგარიშის ნომერი:	708967289

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. **ხელშეკრულების** საფუძველზე და მისი პირობების შესაბამისად, **მიმწოდებელი** იღებს ვალდებულებას გაუწიოს **მიმღებს მომსახურება**, ხოლო **მიმღები** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **მიმწოდებელს საფასური**.

1.2. **მომსახურების** აღწერა და მისი შესრულების პირობები, აგრეთვე **საფასურის** ოდენობა, ხარჯები და მისი გადახდის პირობები შემდეგია:

1.2.1. მომსახურების აღწერა:

1.2.2. **მიმღების** მიერ **მიმწოდებლის** შერჩეული სტუდენტებისათვის. სწავლის საფასურის დაფინანსება

[redacted]

მიმწოდებლის ხელმოწერა / _____ /

[redacted]

1.2.3. **საფასური**, ხარჯები და გადახდის პირობები

[redacted]

1.2.3.3. **მხარეთა** შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

1.2.3.1. **საფასური** მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს და გადასახადებს;

1.2.3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

1.2.4. **მომსახურების** სპეციალური პირობები:

[redacted]

1.2.4.4. **მიმღები** არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ [redacted]

[redacted]

[redacted]

[redacted]

2. **ხელშეკრულების ფორმაცია, ცვლილება, ინტერპრეტაცია და გამოყენება**

2.1. **ხელშეკრულება** წარმოადგენს ერთ მთლიან შეთანხმებას **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** საგანთან დაკავშირებით და, ამ მხრივ, **მხარეთა** შორის არ არსებობს სხვა მავალდებულებელი, სამართლებრივი ძალის მქონე, შეთანხმება.

2.2. **ხელშეკრულება** შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება **კანონმდებლობის** შესაბამისად.

2.3. **ხელშეკრულებაში** გამუქებულად მოცემული ტერმინები უნდა განიმარტოს **მე-9 მუხლში** მოცემული დეფინიციების შესაბამისად.

2.4. **ხელშეკრულებაში** მხოლობით რიცხვში გამოყენებული სიტყვები, კონტექსტის შესაბამისად, გულისხმობს მრავლობითს და პირიქით.

2.5. **ხელშეკრულების** რომელიმე ნაწილის ბათილობა არ იწვევს მთლიანად **ხელშეკრულების** ან/და მისი სხვა ნაწილების ბათილობას.

2.6. **ხელშეკრულებაში** ცვლილებებისა, დამატებების და დაზუსტებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ **მხარეთა** მიერ ხელმოწერილი **ხელშეკრულების დანართით** ან **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმით **მხარეთა** მიერ შეთანხმებული **ხელშეკრულების დანართით**.

2.7. **ხელშეკრულება** მთლიანად, ვალდებულებებითა და უფლებებით, გრცელდება და სავალდებულოა **მხარეთა** უფლებამონაცვლეების, თუ მემკვიდრეებისათვის/ სამართალმემკვიდრეებისათვის, თუ **ხელშეკრულება** ან/და **კანონმდებლობა** სხვა რამეს არ ითვალისწინებს. **მიმწოდებელი** უფლებამოსილია **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადააწდოს საკუთარ **ქვეკონტრაქტორებს**.

3. **განცხადებები, გარანტიები და განგრძნობადი ვალდებულებები**

3.1. თითოეული **მხარე** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

3.1.1. **ხელშეკრულების** დადების/ ხელმოწერის მომენტისთვის არსებობს;

3.1.2. **ხელშეკრულების** დადების/ ხელმოწერისა და შესრულებისათვის საჭირო უფლებამოსილების მიზნით მის მიერ მოპოვებული იქნა და **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება, ყველა აუცილებელი თანხმობა, ნებართვა, ლიცენზია, ავტორიზაცია, თუ მინდობილობა;

3.1.3. **ხელშეკრულება** იდება და სრულდება მის მიერ ნებაყოფლობით, მეორე **მხარის** ან **მესამე პირის** მხრიდან მის მიმართ ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შეცდომის ან/და რაიმე სხვა გარემოების გამოყენების გარეშე;

3.1.4. მის მიერ **ხელშეკრულების** დადება ან/და შესრულება არ მოდის წინააღმდეგობაში **კანონმდებლობასთან**, **სანქციებთან**, საერთაშორისო ნორმებთან, საკუთარ წესდებასთან, გადაწყვეტილებებთან, სადამფუძნებლო ან/და სხვა სახის დოკუმენტებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ იწვევს სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობებით ნაკისრი/ განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევას და არ წარმოშობს **მესამე პირ(ებ)ისათვის ხელშეკრულებაზე** შეცილების უფლებას;

3.1.5. **ხელშეკრულების** ფარგლებში მოქმედებს და იმოქმედებს **კანონმდებლობის** და **სანქციების** დაცვით და ყველაფერს აკეთებს/ გააკეთებს **კანონმდებლობასთან/ სანქციებთან** შესაბამისობაში ყოფნისათვის;

3.1.6. მასზე ან/და **პირზე**, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს ან ფლობს მას (შემდგომში - **მიმწოდებლის მაკონტროლებელი პირი**), **ხელშეკრულების** გაფორმების მომენტში არ ვრცელდება და მომავალში არ გავრცელდება, ნებისმიერი **სანქცია** ან/და ნებისმიერი **სანქციით** გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა;

3.1.7. **ხელშეკრულების** დადების/ ხელმოწერის მომენტისთვის, მისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რომელიც შეუძლებელს გახდის **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას, ხოლო, **ხელშეკრულების** დადების/ ხელმოწერის შემდგომ, ასეთი გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, ის დაუყოვნებლივ შეატყობინებს აღნიშნულის თაობაზე მეორე **მხარეს**;

3.1.8. სრულად და ჯეროვნად დაიცავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მოთხოვნები;

3.1.9. **კანონმდებლობის** შესაბამისად უზრუნველყოფს ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებასა და დამუშავებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.2. **მხარეები** უფლებამოსილნი არიან, იმოქმედონ და განახორციელონ ნებისმიერი ქმედება, მიიღონ ნებისმიერი ზომა **სანქციებთან** ან/და **კანონმდებლობასთან** შესაბამისობის მიზნით. ამ მხრივ, შეუზღუდავად, **მიმღები** უფლებამოსილია, საკუთარი გადაწყვეტილებით დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას **მიმწოდებელთან** ნებისმიერი ტიპის ურთიერთობაზე. შეაჩეროს/ გააუქმოს/ უარი თქვას ნებისმიერი გადარიცხვის (მათ შორის **მომსახურების საფასურის** გადახდის) ან/და დავალების შესრულებაზე ან/და განახორციელოს სხვა ნებისმიერი ქმედება რაც აუცილებელია **სანქციებთან** ან/და **კანონმდებლობასთან** შესაბამისობაში ყოფნის მიზნებისათვის.

3.3. **მხარეები** აცხადებენ და აცნობიერებენ, რომ **მხარეები** დებენ/ აფორმებენ/ ასრულებენ წინამდებარე **ხელშეკრულებას**, მხოლოდ ზემოაღნიშნული განცხადებების და გარანტიების საფუძველზე და მათზე დაყრდნობით.

3.4. **მხარე** დაუყოვნებლივ შეატყობინებს მეორე **მხარეს** ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს მის აღნიშნულ **განცხადებებთან და გარანტიებთან** ან/და გამოიწვიოს მათი დარღვევა. შეტყობინება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას **მხარის** სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

4. კომუნიკაცია

4.1. **მხარეთა** შორის ხელშეკრულების ცვლილებასთან/ დამატებასთან/ დაზუსტებასთან ან **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე **მხარეთა** უფლებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული კომუნიკაციები უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, კერძოდ, მიეწოდოს **მხარეს** პირადად, საფოსტო გზავნილის, ელექტრონული ფოსტის ან დისტანციური კომუნიკაციის ფუნქციის მქონე **მიმღების** პროდუქტის გამოყენებით.

4.2. ნებისმიერი ასეთი კომუნიკაცია მიღებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ კომუნიკაციის მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ. თუ კომუნიკაციის მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი კომუნიკაცია მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად გაგზავნის თარიღიდან მეორე **სამუშაო** დღეს. კომუნიკაცია მიღებულად ითვლება გაგზავნის თარიღიდან მეორე საბანკო დღეს იმ შემთხვევებშიც, თუ კომუნიკაციის

გამგზავნ **მხარეს** კომუნიკაცია დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ხელშეკრულებაში მითითებული/ ხელშეკრულების შესაბამისად შეტყობინებული საკონტაქტო მონაცემები აღმოჩნდება არასწორი, ადრესატი უარს განაცხადებს კომუნიკაციის მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

4.3. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ მისამართებზე/ საკონტაქტო მონაცემებზე. **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს ხელშეკრულებით** განსაზღვრული კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

5. კონფიდენციალურობა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები და ინფორმაციული უსაფრთხოება

5.1. კონფიდენციალურობა:

5.1.1. **მხარე** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის, **ხელშეკრულების** არსებობის, მასში მითითებული პერსონალური მონაცემების შესახებ) ხელმისაწვდომი გახადოს მხოლოდ მისი იმ თანამშრომლებისთვის, ან აფილირებული პირებისათვის, რომელთათვისაც აუცილებელია აღნიშნული ინფორმაციის ცოდნა **ხელშეკრულების** შესრულების მიზნებისთვის. **მხარე** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნული **პირები** იცნობდნენ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ კონფიდენციალურობის ვალდებულებებს და სრულად ასრულებდნენ მათ.

5.1.2. **მხარის** მიერ **ხელშეკრულების** ფარგლებში მიღებული ნებისმიერი ინფორმაციის ნებისმიერი სხვა **მესამე პირისთვის** გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ მეორე **მხარის** წინასწარი წერილობითი თანხმობით. **მხარე** ვალდებულია **მესამე პირი** დაავალდებულოს და შეაჩვის იმავე კონფიდენციალურობის ვალდებულებით, რაც **ხელშეკრულებით** ვრცელდება **მხარეებზე** და **მხარე** სრულად აგებს პასუხს **მესამე პირის** მიერ მისთვის გადაცემული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე.

5.1.3. კონფიდენციალურობის შესახებ ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას:

5.1.3.1. რომელიც **კანონმდებლობის** დარღვევის გარეშე იყო ცნობილი ინფორმაციის მიმღები **მხარისათვის** მეორე **მხარის** მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებამდე;

5.1.3.2. რომლის გამჟღავნებაც მოხდება **მხარეთა** მიერ **კანონმდებლობის** მოთხოვნათა დაცვით და შესასრულებლად (მათ შორის, რომელიმე **მხარის** მიერ სასამართლო (მათ შორის, საარბიტრაჟო სასამართლო) წესით მისი უფლებების განსახორციელებლად);

5.1.3.3. რომლის მოპოვებაც შესაძლებელია სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან.

5.1.4. **მიმღები** უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, **კანონმდებლობით** განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების ფარგლებში/ მიზნებისთვის, დაფინანსების მოპოვების ფარგლებში/ მიზნებისთვის, **მესამე პირებისგან** აუდიტორული, საკონსულტაციო, საშემფასებლო, კვლევითი ან სხვა მსგავსი მომსახურების მიღების ფარგლებში/ მიზნებისთვის ან/და **მიმღების** მიერ **მესამე პირების** წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების (მათ შორის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის ან/და ანგარიშგების ფარგლებში) ან/და ნებისმიერი სხვა ობიექტური გარემოების მიზნით, **მიმწოდებლის** შესახებ ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია ან/და **მიმწოდებლთან** გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება ან/და **მიმწოდებლის** მიერ შესრულებული **მომსახურების** შედეგი და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია) მიაწოდოს ნებისმიერ **მესამე პირს** (მათ შორის საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, **მიმღების** გარე აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს, კვლევით ორგანიზაციებს, ან მსგავსი ფუნქციის მქონე სხვა **მესამე პირებს**). ამასთან ასეთი გადაცემული ინფორმაციის/ ხელშეკრულების კონფიდენციალურობის დაცვას უზრუნველყოფს, შესაბამისი ინფორმაციის/ ხელშეკრულების მიმღები **მესამე პირი**.

5.1.5. **მხარეები** დამატებით თანხმდებიან, რომ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების მოქმედება გაგრძელდება **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ უვადოდ.

5.2. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები:

5.2.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

5.2.1.1. **კანონმდებლობითა** და **მიმღების** მიერ განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოს **პირის** პერსონალური მონაცემების დაცვა;

5.2.1.2. **მიმწოდებელმა** უნდა შეძლოს ამ **ხელშეკრულების** პირობებთან და **კანონმდებლობასთან** შესაბამისობის დადასტურება, ამასთან, **მიმღების** მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მას ანგარიში აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მიღებული ზომების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

5.2.1.3. მისთვის გადაცემული მონაცემები დაამუშავოს მხოლოდ **მიმღების** დავალებით ან მითითებით, იმ ფარგლებში, იმ მიზნით და იმ ფორმით, რაც აუცილებელია ამ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და **კანონმდებლობით** დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

5.2.1.4. **კანონმდებლობისა, ამ ხელშეკრულებისა** და ამ სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, დაიცვას მონაცემთა უსაფრთხოება და მონაცემთა დამუშავების თანამდევი საფრთხეების ასაცილებლად მიიღოს შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომელიც **მიმწოდებელს** საშუალებას მისცემს (ა) დაიცვას და უზრუნველყოს, პერსონალურ მონაცემთა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კონფიდენციალურობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა; და (ბ) აღკვეთოს, მონაცემთა დამუშავების არაავტორიზებული გამოყენება, არაავტორიზებული წვდომა ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის უსაფრთხოების სხვაგვარი დარღვევა;

5.2.1.5. დაუყოვნებლივ, არაუმეტეს 24 საათისა, წერილობით აცნობოს **მიმღებს** მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის/ინციდენტის შესახებ; **მიმღების** წინასწარი თანხმობისა და მასთან კოორდინაციის გარეშე, **მიმწოდებელს** არ აქვს უფლება **ინციდენტის** თაობაზე ინფორმაცია მიაწოდოს **მონაცემთა სუბიექტებს**, ნებისმიერ მარეგულირებელ ორგანოს, მათ შორის **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს** ან/და ნებისმიერ **მესამე პირს**.

5.2.1.6. აწარმოოს წერილობითი ჩანაწერი **მიმღების** სახელით/დავალებით განხორციელებული ყველა კატეგორიის დამუშავების შესახებ და წარუდგინოს აღნიშნული ჩანაწერები **მიმღებს** მოთხოვნის შემთხვევაში;

5.2.1.7. უზრუნველყოს, რომ მისი ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან/და აქვს წვდომა პერსონალურ მონაცემებთან, არ გასცდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას პერსონალურ მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ;

5.2.1.8. **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის განმავლობაში **მიმღების** მითითებით, ნებისმიერ დროს ან **მხარეთა** შორის **ხელშეკრულების** შეწყვეტისას (მათ შორის ვადის გასვლისას). უკან დააბრუნოს **მიმღებისგან ხელშეკრულების** მოქმედების პერიოდში მიღებული ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, მათი ასლები და წაშალოს და გაანადგუროს ისინი, თუ მათი შენახვის ვალდებულება კანონმდებლობით არ არის დადგენილი. **მიმწოდებელმა** პერსონალურ მონაცემთა განადგურებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ შეწყვიტა მონაცემთა დამუშავება და გაანადგურა პერსონალური მონაცემები;

5.2.1.9. **კანონმდებლობით** დადგენილ ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად **მიმღებს** მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია და ხელი შეუწყოს მის მიერ მონაცემთა დამუშავების მონიტორინგის განხორციელებას;

5.2.1.10. მიიღოს სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რათა დაეხმაროს **მიმღებს** მის მიერ მონაცემთა სუბიექტის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, მათ შორის, **მიმწოდებელი** ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს **მიმღების** ყველა მოთხოვნა, რომელიც დაკავშირებულია **მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემთა** გასწორებასთან, განახლებასთან, შევსებასთან, გადაცემასთან, წაშლასთან, დაბლოკვასთან, პორტირებასთან ან სხვაგვარად დამუშავებასთან, ან დამუშავების შეწყვეტასთან, შემცირებასთან ან გამოსწორებასთან, თუ არ არსებობს ასეთი მოთხოვნის უფლების შეზღუდვის **კანონმდებლობით/მონაცემთა დაცვის კანონმდებლობით**. პირდაპირ გათვალისწინებული საფუძველი;

5.2.1.11. გაუწიოს **მიმღებს** დახმარება მონაცემთა უსაფრთხოებასთან, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევების შესახებ შეტყობინებასთან, და მონაცემთა დაცვაზე ზემოქმედების შეფასებებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებაში.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას მათ მიერ **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, გადაუხადონ ერთმანეთს პირგასამტეხლო შემდეგი პირობებით: ა) თუ **მხარეთა** მიერ **მომსახურების ხელშეკრულების** დადების/ ხელმოწერის მომენტისათვის ცნობილია **მომსახურების საფასურის** ჯამური მოცულობა - ერთჯერადი პირგასამტეხლო **მომსახურების საფასურის** ჯამური მოცულობის 1%–ის ოდენობით, ან ბ) თუ **მხარეთა** მიერ **მომსახურების ხელშეკრულების** დადების/ხელმოწერის მომენტისათვის არ არის ცნობილი **მომსახურების საფასურის** ჯამური მოცულობა - ერთჯერადი პირგასამტეხლო ვალდებულების დარღვევის მომენტისათვის გადახდილი **მომსახურების საფასურის** ჯამური მოცულობის 1%-ის ოდენობით.

6.2. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ **ხელშეკრულების** სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ან/და ნებისმიერი განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი (მათ შორის ქესამე პირების მიერ მხარეთათვის დაწესებული ნებისმიერი ჯარიმა/ გადასახდელი) **კანონმდებლობით** ან/და **ხელშეკრულებით** დადგენილი წესით, ხოლო ზიანის/ზარალის ანაზღაურება **მხარეებს** არ ათავისუფლებს **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან (გადახდისაგან).

6.3. **მხარეები** პასუხს არ აგებენ **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევისთვის, თუ ამგვარი დარღვევის ფაქტი გამოწვეულია **მხარეთა** მიერ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული საფუძვლით **სანქციებთან** ან/და **კანონმდებლობასთან** შესაბამისობის მიზნით განხორციელებული ქმედებით ან უმოქმედობით.

6.4. **ქვეკონტრაქტორის** მიერ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) **ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ნებისმიერი სახის ზიანისათვის (ზარალისათვის) პასუხისმგებლობა დაეკისრება **მიმწოდებელს**.

6.5. **მხარეთა** უფლებების შეუზღუდავად, **მხარეები** თანხმდებიან, რომ ზიანის (ზარალის) ანაზღაურება - ფულადი კომპენსაცია (მათ შორის **მხარეთა** მიერ შეთანხმებული პირგასამტეხლოს გადახდა), შესაძლოა სათანადოდ ვერ აკომპენსირებდეს **ხელშეკრულებით** განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევით გამოწვეულ ზიანს, რის გამოც **მხარე** უფლებამოსილია, განსაკუთრებული ზიანის დამტკიცების გარეშე, მიმართოს სასამართლოს მეორე **მხარის** წინააღმდეგ ბრძანების/ განჩინების/ აკრძალვის/ შეზღუდვის მიღების მიზნით, რათა აღნიშნულ **მხარეს** დაევალოს ან აეკრძალოს გარკვეული მოქმედებების შესრულება, ან/და მიმართონ სხვა შესაფერის სამართლებრივ ზომებს.

6.6. **ხელშეკრულების** შეწყვეტის შემთხვევაში, **მიმწოდებელი** ვალდებულია დაუბრუნოს **მიმღებს** ყველაფერი, რაც მან მიიღო **ხელშეკრულებით** განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად გადახდილი **საფასური** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **ხელშეკრულება** წყდება **მიმღების** მიერ ცალმხრივად, მიზეზის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ **ხელშეკრულება** წყდება **მიმწოდებლის** მიერ ცალმხრივად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე იმგვარად, რომ **მყიდველს** არ მიეცა სათანადო დრო ალტერნატიული გამყიდველის მოძიების ან/და **ხელშეკრულების** წალმხრივად შეწყვეტისგან მომდინარე ზიანის პრევენციისათვის, **მიმწოდებელი** ვალდებულია აუნაზღაუროს **მიმღებს** ამგვარი შეწყვეტისაგან მიყენებული ზიანი.

7. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა

7.1. **ხელშეკრულება** ძალაში შედის **მხარეთა** მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით. **ხელშეკრულების** მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) კალენდარული წლის ვადით თუ **ხელშეკრულების** ვადის ამოწურვამდე 30 (ოცდაათი) დღით ადრე, **მიმღები მიმწოდებელს** არ შეატყობინებს **ხელშეკრულების** შეწყვეტის შესახებ.

7.2. **ხელშეკრულების** შეწყვეტა ან/და მოქმედების ვადის გასვლა **მხარეებს** არ ათავისუფლებთ **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის გასვლამდე არსებული შეუსრულებელი ვალდებულებების და **ხელშეკრულებით** განსაზღვრული განგრძობადი ვალდებულებების შესრულების ვალდებულებისგან.

7.3. **მხარე** უფლებამოსილია **ხელშეკრულების** მოქმედების ვადის გასვლამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს და უარი თქვას **ხელშეკრულებაზე/მომსხურებაზე**:

7.3.1. თუ **ხელშეკრულების** მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე რომელიმე **მხარე** ცალმხრივად მიიღებს ამ გადაწყვეტილებას;

7.3.2. თუ მეორე **მხარე** არღვევს **ხელშეკრულებით** ნაკისრ ვალდებულებებს და გასულია მისთვის დარღვევის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადა;

7.4. თუ **მხარე ხელშეკრულების** საფუძველზე და მის შესაბამისად, მიიღებს **ხელშეკრულების** ცალმხრივად სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის გადაწყვეტილებას, ვალდებულია შეატყობინოს მეორე **მხარეს** მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

7.5. **ხელშეკრულების მიმღების** მხრიდან ცალმხრივად, ყოველგვარი მიზეზის გარეშე, შეწყვეტის შემთხვევაში, **მიმღები** გადაუხდის **მიმწოდებელს მომსახურების საფასურს** მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული **მომსახურების** შესაბამისად.

8. დავების გადაწყვეტა

8.1. **ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი დავა (მათ შორის, **ხელშეკრულების** არსებობასთან ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან, აღსრულებასთან ან/და ნამდვილობასთან/ გაუქმებასთან დაკავშირებით) წყდება მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ და მხოლოდ **კანონმდებლობის** გამოყენებით.

9. ტერმინები

9.1. **მიმღები - პირი**, რომლის სრული რეკვიზიტები მოცემულია **ხელშეკრულებაში**.

9.2. **დანართი - ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით **მხარეთა** შორის ნებისმიერი შეთანხმება რომელიც მონიშნულია როგორც **ხელშეკრულების** „დანართი" და რომელიც ცვლის, წყვეტს ან ანულირებს **ხელშეკრულებას.**

9.3. **კანონმდებლობა** – საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები.

9.4. **მესამე პირი** – ნებისმიერი **პირი** გარდა **მიმღების** ან/და **მიმწოდებლისა**.

9.5. **მიმწოდებელი - პირი**, რომლის სრული რეკვიზიტები მოცემულია **ხელშეკრულებაში**.

9.6. **მომსახურება - ხელშეკრულებით** განსაზღვრული მომსახურება.

9.7. **პირი** – ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი ან/და საქართველოს ან სხვა ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნ(ებ)ი, რომელიც/ რომლებიც არ წარმოადგენს/ წარმოადგენენ იურიდიულ პირ(ებ)ს.

9.8. **პროდუქტი - მომსხურების** შედეგად მიღებული უძრავ–მოძრავი ნივთები და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე.

9.9. **სამუშაო დღე** - დღე შაბათის, კვირის ან/და **კანონმდებლობით** განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა.

9.10. **სანქცია** - გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისის (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურის (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრის ან/და ნებისმიერი პირის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ **მხარეებზე,** მიერ დაწესებული/განსაზღვრული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება ან ქმედების/მოქმედების აკრძალვა/შეზღუდვა, მათ შორის, შეუზღუდავად სარეგისტრაციო ადგილთან/ კონკრეტულ ტერიტორიაზე (მაგ. რუსეთის ფედერაცია, ირანი) საქმიანობასთან/ ტრანსპორტირებასთან/ ვაჭრობასთან (მაგ. ნავთობით ვაჭრობა) დაკავშირებული ქმედებები ან შეზღუდვები/აკრძალვები.

9.11. **საფასური - ხელშეკრულებით** განსაზღვრული **მომსახურების** საფასური.

მიმწოდებლის ხელმოწერა / _____

9.12. **ქვეკონტრაქტორი** - **მესამე პირი**, რომელიც **მიმწოდებლთან** იმყოფება ნებისმიერი ტიპის გარიგებაში (ვერბალურ/ წერილობით) და რომელიც **მიმწოდებლის** დავალებით სრულად ან ნაწილობრივ ასრულებს **მიმღების** მიერ **მიმწოდებლისთვის** ამ **ხელშეკრულებით** დაკვეთილ მომსახურებას.

9.13. **ხელშეკრულება** – წინამდებარე მომსახურების ხელშეკრულება და მისი ნებისმიერი **დანართი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეთანხმდება **მხარეთა** მიერ **ხელშეკრულებასთან** დაკავშირებით და რომელიც/ რომლებიც წარმოადგენს **ხელშეკრულების** განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

10. **მხარეთა ხელმოწერები**

მიმღები

/_____/

მიმწოდებელი

/_____/

მიმწოდებლის ხელმოწერა /_____/